საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/46

ქ. ბათუმი 21 ოქტომბერი, 2022 წ.

მრავალწლიანი (2022-2023 წწ) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის
თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 20 ოქტომბრის MES 1 22 0001331905 სამსახურებრივი ბარათის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/06, 21.10.2022წ) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განახორციელოს მრავალწლიანი შესყიდვა ბსუ-ს ბიუჯეტის 2022 – 2023 წლების ასიგნებების ფარგლებში, კერძოდ:

ა)ავეჯის სახელმწიფო შესყიდვა - CPV 39100000 - 2022 წლის ბიუჯეტის სახსრებით - არაუმეტეს 21 489 ლარი , 2023 წლის ბიუჯეტის სახსრებით - არაუმეტეს 193 401 ლარი;

ბ) სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა - CPV 45400000 - 2022 წლის ბიუჯეტის სახსრებით - არაუმეტეს 25 200 ლარი, 2023 წლის ბიუჯეტის სახსრებით - არაუმეტეს 226 800 ლარი.

2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი დავით ბარათაშვილი